თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 22 ოქტომბერის სხდომის ოქმი #11

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 0, სულ –21 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

   /დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრიატის 2015 კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კურსდამთავრებულ ნაზი ჩაგანავასთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევან ბერაიასთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებასთან წარდგენილ ბრძანებაში მიხეილ თევზაძის, ზურაბ მაჭავარიანის, ნინო მეყანწიშვილისა და ეკატერინე ყეინიშვილის ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მე-9 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ჩატარებისა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ-ს სტამბაში გამოცემის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ანგარიშის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების რუსუდან მაისურაძისა და ნინო ლობჟანიძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

10. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქ-მა ე. ხარაიშვილმა სხდომის თავმჯდომარეს, დეკანს, პროფ. თ. ბერიძეს სთხოვა დღის წესრიგში საკითხის დამატება: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 2014-2015 კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის #11 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1991 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის (დღე - ქართული და რუსული სექტორი, საღამო, დაუსწრებელი) და სოფლის მეურნეობის დაგეგმვის (დღე, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულისთვის (ლევანი ბერაია) დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების – ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა 1991 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულ **ინგა კაზარიანმა** და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ **ლევანი ბერაიამ**.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინგა კაზარიანის და ლევანი ბერაიას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების საფუძველზე დაადგინა:

1. **ინგა რომეოს ასული კაზარიანი** 1986 წელს მისაღების გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის სწავლების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/625, 24.08.1986).

   ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის 28 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით სადიპლომი ნაშრომებისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ინგა კაზარიანს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

   თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 1991 წლის 23 ივლისის №4/502 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების მრეწველობის დაგეგმვის (რუსული ჯგუფი) კურსდამთავრებულ ინგა რომეოს ასულ კაზარიანს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი წარჩინებითი (ბრძანება №4/502, 23.07.1991).

   1991 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით УВ №996524 (სარეგისტრაციო №01/82) რეგისტრირებულია ინგა კაზარიანის სახელზე.

   თსუ არქივმა ფაკულტეტს მოთხოვნის საფუძველზე დამატებით გადმოსცა 1991 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხრომის 26 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი. წარმოდგენილი დოკუმეტებიდან ირკვევა, რომ 1991 წელს ფაკულტეტზე მოქმედებდა ხუთი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები.

   პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ა. ჯანჯღავა; წევრები: გ. ადეიშვილი, ვ. ბადრიძე, ბ. გაბიძაშვილი, პ. ლემონჯავა, მ. ტურავა)* მიერ 1991 წლის 22 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

   მეორე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ი. კორტავა; წევრები: ნ. ბაგრატიონი, ვ. ჩანტლაძე, კ. გიგაშვილი, ვ. ჭაია)* მიერ 1991 წლის 21 ივნისს წარმოებულია 5 ოქმი. აქედან მხოლოდ ერთ ოქმს აქვს მინიჭებული ნომერი 30.

   მესამე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ.ი. დათუკიშვილი; წევრები: თ.ა.ჭიაბრიშვილი, ე.მ. მექვაბიშვილი, მ.ვ. ტუხაშვილი, ვ.მ. გურგენაძე, ჯ.ვ. ხარიტონაშვილი)* მიერ 1991 წლის 26 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი, 30 ნოემბერს - 1 ოქმი და 2 დეკემბერს - 2 ოქმი. არცერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

მეოთხე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ. ახალაია; წევრები: ო. საღარეიშვილი, ა. სილაგაძე, ი. გიგოშვილი, მ. გოცირიძე)* მიერ 1991 წლის 28 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი, ხოლო 5 დეკემბერს - 4 ოქმი. მათგან მხოლოდ 28 ივნისს წარმოებულ ერთ ოქმს აქვს ნომერი (№4) მინიჭებული.

მეხუთე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ი. კორტავა; წევრები: ნ. ბაგრატიონი, პ. ბერიშვილი, ვ. ჩანტლაძე)* მიერ 1991 წლის 28 ნოემბერს წარმოებულია 2 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნებათ რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მეოთხე კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმებს. კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო **„პ“**-ს დამატება.

2. **ლევანი ბერაია** 2003 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი აუდიტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/862, 26.08.2003). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 278 კრედიტი და თსუ რექტორის 2008 წლის 23 იანვრის №44/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი ბერაიას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით *(ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №44/01-04, 23.01.2008 - საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №215/02).*

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 24 სექტემბრის №1067/01-04 ბრძანებით გაუქმებულად გამოცხადდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი ბერაიას სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი BN№007866 (სარეგისტრაციო №007866) და დიპლომის დანართი, სახელსა და დიპლომში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო და უნდა გაიცეს ბაკალავრის ახალი დიპლომი და დიპლომის ახალი დანართი, და მასში ლევან ბერაიას ნაცვლად მითითებული უნდა იქნეს ლევანი ბერაია.

თსუ რექტორის 2008 წლის 23 იანვრის №44/01-04 ბრძანებით ლ. ბერაიასთვის მინიჭებული კვალიფიკაცია (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის საბჭოზე მოახდინა ლ. ბერაიასთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება.

თსუ რექტორის 2008 წლის 23 იანვრის №44/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№215/02). საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007 წელს მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ფაკულტეტზე მოძიებული 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები არის ზოგადი სახის. კერძოდ, ამ ოქმებში არ არის მითითებული იმ სტუდენტთა გვარები, რომელთაც მიენიჭათ ბაკალავრის ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1991 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მრეწველობის დაგეგმვის (დღე - *ქართული და რუსული სექტორი*, საღამო, დაუსწრებელი) და სოფლის მეურნეობის დაგეგმვის (დღე, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№1/ბ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის*** *(რუსული სექტორი)* ***სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის *(მ.შ. ინგა კაზარიანი)* „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***საღამო განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№3/ბ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღი (28.06.1991) და ნომერი (№4) დარჩეს უცვლელი - ***№4, 28.06.1991***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№5/ბ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დაუსწრებელი განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№6/ბ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის (რუსული სექტორი) სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 5 დეკემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 5 დეკემბერი*** და ნომრად ***№7/ბ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***საღამო განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 5 დეკემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 5 დეკემბერი*** და ნომრად ***№8/3***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 5 დეკემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 5 დეკემბერი*** და ნომრად ***№9/3***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დაუსწრებელი განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 5 დეკემბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1991 წლის 5 დეკემბერი*** და ნომრად ***№10/3***.

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცო კომისიის 1991 წლის 28 ივნისის და 5 დეკემბრის *(კომისიის თავმჯდომარე: ვ. ახალაია; წევრები: ო. საღარეიშვილი, ა. სილაგაძე, ი. გიგოშვილი, მ. გოცირიძე)* სხდომის ოქმებში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. 1991 წლის 28 ივნისის და 5 დეკემბრის ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)*.

2. აღდგენილად ჩაითვალოს 2008 წლის 23 იანვრის №44/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი ბერაიასთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2008 წლის 23 იანვარი***, ხოლო ნომრად ***№44/3***.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ მაკა სხვიტარიძისთვის 2006 წლის 24 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №8) მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა თსუ რექტორის (№01-04/1408, 27.11.2006) ბრძანებასთან.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა 2006 წელს მაგისტრატურის რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობის სპეციალობის კურსდამთავრებულ **მაკა სხვიტარიძემ**.

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან გაირკვა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საბიუჯეტო სექტორის პირველ კურსზე რეიტინგის მონაცემების მიხედვით მაკა ოთარის ასული სხვიტარიძე ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქნიანობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/878, 19.07.2004 წ.).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესტორნების და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობის სპეციალობაში 2006 წლის 24 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №8) გადაწყვეტილებით სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საფუძველზე მიენიჭა **ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** და მიეცა მაგისტრის დიპლომი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ მაკა სხვიტარიძეს რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობის სპეციალობით *(იხ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რექტორნებისა და სასტუმროიების კომპლექსის კომერციული საქმიანობა სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №8, 24.06.2006 წ.).*

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 27 ნოემბრის №01-04/1408 ბრძანებით რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ მაკა სხვიტარიძეს მიენიჭა **ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით** (ბრძანება №01-04/1408, 27.11.2006).

მაკა სხვიტარიძის სახელზე გაცემულ მაგისტრის დიპლომში (M №000554, სარეგისტრაციო №000554) დაფიქსირებულია: **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა 2006 წელს მაკა ცხვიტარიძეს, დაბადებულს 1982 წლის 26 სექტემბერს, მიანიჭა ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.“**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№01-04/1408, 27.11.2006) მინიჭებულ ხარისხი და დიპლომში მითითებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმთან (საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №8, 24.06.2006). სწორედ ამის გასწორებას მოითხოვს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კონსულტაციისთვის მიმართა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პასუხი წერილობით აცნობა: **„მაკა სხვიტარიძეს მიერ სწავლის პერიოდში გავლილი საგნების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია მიენიჭოს „ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.“**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანების (№01-04/1408, 27.11.2006) შესაბამისად უნდა შესწორდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობა სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის შემაჯამებელ სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №8, 24.06.2006) და ნაცვლად „ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხისა“ მიენიჭოს „ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი“.

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის

უფროსის ქ-ი ი. მშვენიერაძის წერილი 6728/29, 16.10.15, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

ქანდაურიშვილი ნანა 45001032599

ჟორჟოლიანი ლელა 60001156067

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ქანდაურიშვილი ნანა 45001032599
2. ჟორჟოლიანი ლელა 60001156067

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კურსდამთავრებულ ნაზი ჩაგანავასთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო

საწარმოთა მართვა“ კოორდინატორის ლ. ტაბატაძის განცხადება (#6633/29, 09.10.2015). მასში აღნიშნულია, რომ თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ მაგისტრანტმა, ნაზი ჩაგანავამ გაიარა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი (კომპონენტი) და დააგროვა 120 კრედიტი, რის საფუძველზეც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ის აყენებს საკითხს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ მაგისტრანტს, ნაზი ჩაგანავას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულს ნაზი ჩაგანავას.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევან ბერაიასთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის სამსახურებრივი გარათი 6564/29, 06.10.15, სადაც აღნიშნულია, რომ 2008 წლის 23 იანვრის №44/01-04 გრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი ბერაიას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით (გრძანება №44/01-04, 23.01.2008 - საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის წარდგინება №215/02).

ლევან ბერაიას სახელზე მომზადებულ დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 გრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ლევან ბერაიასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად), კერძოდ ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით“ ნაცვლად უნდა მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ლევან ბერაიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში და დიპლომის დანართში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ლევანი ბერაიას ნაცვლად მითითებულია ლევან ბერაია.

აზრი გამოთქვეს: მ. ჩავლეიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი ბერაიასთვის მოხდეს ხარისხის კორექტირება და **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.“**

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებასთან წარდგენილ ბრძანებაში მიხეილ თევზაძის, ზურაბ მაჭავარიანის, ნინო მეყანწიშვილისა და ეკატერინე ყეინიშვილის ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის სამსახურებრივი ბარათი 6729/29, 16.10.15, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის 16 სექტემბერს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად შეცდომით მიენიჭათ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს: მიხეილ თევზაძეს, ზურაბ მაჭავარიანს, ნინო მეყანწიშვილს და ეკატერინე ყეინიშვილს.
ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი კორექტირდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის

კურსდამთავრებულების – მიხეილ თევზაძის, ზურაბ მაჭავარიანის, ნინო მეყანწიშვილის და ეკატერინე ყეინიშვილისთვის მინიჭებული ხარისხი.

აზრი გამოთქვეს: მ. ჩავლეიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მოხდეს კორექტირება და „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

1. მიხეილ თევზაძე
2. ზურაბ მაჭავარიანი
3. ნინო მეყანწიშვილი
4. ეკატერინე ყეინიშვილი

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

ქ-მა ნ. ფარესაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესსში შედის ცვლილებები, რომლის შესახებაც ინფორმაცია ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დაეგზავნათ იმეილით. ცვლილებები არის შემდეგი:

მუხლი 4. გამარჯვებულის გამოვლენა

1. ამოღებულია პუნქტი 1;

2. ამოღებულია პუნქტი 2-ის ბოლო წინადადება და იგი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: გამარჯვებულად გამოცხადდება დოქტორანტი რომელიც დააგროვებს ყველაზე მაღალ შეფასებას წინამდებარე წესის მე-3 მუხლი პირველი პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მე-9 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ჩატარებისა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ-ს სტამბაში გამოცემის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

ქ-მა ნ. ფარესაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წელს გათუმში, ისევე როგორც წინა წლებში, წარმატებით ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მე-9 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა.“ მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე აქტიურად მონაწილეობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. შემდგომი კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია 2016 წლის 23 ოქტომბერს. ჩვენი უნივერსიტეტის თანაორგანიზატორობა გამოიხატება სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის მომზადებასა და გამოცემაში.

ქ-მა ნ. ფარესაშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: აღნიშნული კონფერენციის სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ სტამბაში გამოცემის შესახებ, ფაკულტეტის თანამონაწილეობით. რაც შეეხება ორგანიზაციულ და დაფინანსების საკითხებს, ამ საკითხების რეალიზაციას უზრუნველყოფს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, პროფ. ს. გელაშვილმა, საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ.

პროფ. ს. გელაშვილი - მან აღნიშნა, რომ ეს არის თემატური კონფერენცია. მან დასვა კითხა: რამდენად მიზანშეწონილია ყოველწლიურად ერთი და იგივე თემატური კონფერენციის ჩატარება? ნებისმიერ სამეცნიერო კონფერენციაზე ჯამდება იმ მიმართულებით მიღწეული შედეგები. ერთ წელიწადში რა სიახლეები შეიძლება იყოს ასეთ კონფერენციაზე?

საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძე - მან აღნიშნა, რომ როდესაც გარკვეული იქნება საკონფერენციო მოხსენებათა კრებულის გამოცემის ზუსტი თანხა, მაშინ მოხდება ამ საკითხის განხილვა.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ანგარიშის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ნ. ფარესაშვილი/

ქ-მა ნ. ფარესაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტზე განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ანგარიშები. მან საბჭოს წევრებს სთხოვა აზრის გამოთქმა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნინო ლობჟანიძის და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის რუსუდან მაისურაძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ-მა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ შემოსულია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნინო ლობჟანიძის განცხადება, რომელშიც ის, როგორც თსუ თანამშრომელი ითხოვს 2015–2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასური განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

ქ-მა მ. ლობჟანიძემ ასევე აღნიშნა, რომ შემოსულია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის რუსუდან მაისურაძის განცხადება, რომელშიც ის, როგორც თსუ თანამშრომელი ითხოვს 2015–2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასური განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ნინო ლობჟანიძეს, როგორც თსუ-ის პერსონალ–დოქტორანტს, 2015–2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.
2. რუსუდან მაისურაძეს, როგორც თსუ-ის პერსონალ–დოქტორანტს, 2015–2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე